ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია
დრ. მთავარ კომიტ. ორგანო

სოციალისტ-ფედერალისტი

№ 4 1921 წ. პარასკევი მარტის 4
ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ტფილისი, მარტის 4

რევოლიუციონურმა მთავრობამ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა: მან მოაგონა, ვისაც ეს დაავიწყდა, რომ საქართველოში სახელმწიფო ენა—ქართული ენაა, და საქმის წარმოებაც ამ ენაზე უნდა სწარმოებდეს. ეს ნაბიჯი ყველა ქართველის თანაგრძნობას გამოიწვევს და ერთხელ კიდევ ცხადყოფს იმათთვის, ვისაც ეგონა, რომ ახალი პოლიტიკური სიტუაცია მათი ბნელი საქმეების საკეთილდღეოდ შეიქმნა, რომ საქართველოში უნდა ბატონობდეს ქართული ენა, ქართული კულტურა. ქართველ მუშას იმისთვის არ უპყრია ხელთ ჩაქუჩი, რომ ის საკუთარ მამას შემოკრას და ქართველ გლეხს იმიტომ კი არ აუწევია თოხი ზევით, რომ იგი საკუთარ დედას დასცეს. ნუ დაავიწყდებათ კონტრ-რევოლიუციონურ ბნელ ძალებს, რომ რევოლიუციის წიაღში ისინი თავის საწადელს ვერ მიაღწევენ და არეულ წყალში თევზს ვერ დაიჭერენ.

რევოლიუციონური მთავრობის ნაბიჯს დიდი პოლიტიკური აზრიც აქვს. ქართველი ერი იმდენად შეგნებულია ეროვნულად, სამი წლის ეროვნულმა აღმშენებლობამ იმდენად გაათვითცნობიერა ხალხი, მშრომელი მასა იმდენად უშუალოდ ჩარეულია ამ ეროვნულ აღორძინებაში, რომ საქართველოში შეუძლია დამკვიდრდეს მხოლოდ ისეთი ძალა, რომელიც ეროვნულ საქმის მეთაურიც იქნება. კომუნიზმი, რომელიც მიდის აღმოსავლეთში დიადი დროშით ეროვნებათა თვითგამორკვევისა, სხვა გზას ვერ აირჩევდა.

ჩვენ ვესალმებით რევოლიუციონურ მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ენის სახელმწიფო ენის უფლებაზე დატოვება უბრალო დეკლარაცია იქნება, თუ ამ კანონის განმახორციელებელნი სწორედ ქართულ ენის უცოდინარნი იქნებიან. ამიტომაც საჭიროა, რომ არც ერთი უწყების სათავეში არ მოექცეს ისეთი პირი, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის. ეს ადვილად განსახორციელებელია: საქართველო განსხვავებულ პირობებშია იმ მხრივ, რომ მისი ინტელიგენცია არსებითად წინააღმდეგია საბოტაჟისა, რასაც ადგილი ჰქონდა სხვა შემთხვევებში. ყველა ქართველი თავის თანამდებობაზე დარჩა და დარჩება თუ მათი გამოტევებას არ მოახერხებს თითო ოროლა ავანტიურისტი და კონტრ-რევოლიუციონერი, რომელიც დროით სარგებლობას შეეცდება თავისი ბნელი საქმის გასაკეთებლად.

ჩვენ ვფიქრობთ და ეს აუცილებლად მიგვაჩნია, რომ დაუყონებლივ მოიხსნან სხვა და სხვა თანამდებობულან ის პირები, რომელთაც სახელმწიფო ენა არ იციან და საქმეს მეთაურობდნენ ის ქართველები, რომლებიც ეროვნულ საქმის სამსახურსაც და მშრომელი კლასის ინტერესების დაცვასაც ერთნაირის ენერგიით და თავდადებით გაკეთებას თავის სამღვთო მოვალეობათ დაისახავენ.

ტფილისის მასწავლებლობას

ტფილისის მასწავლებლობის ერთი ჯგუფი ახმაურდა. თავი წამოყო საეჭვო პირებმა, კისრულობენ ინიციატივას, იწვევენ კრებას და უნდათ ვითომ შეჰქმნან რაღაც ახალი კავშირი. ორჯერ დაუნიშნავთ კიდეც კრება, მაგრამ არც ერთხელ არ შემდგარა.

ვინ არიან ეს არა მკითხე მოამბეები, რომ მასწავლებლობის კავშირში არეულდარევა შეაქვთ და უნდათ განხეთქილება ჩამოაგდონ?

სად იყვნენ ეს ვაჟბატონები აქამდეხანს? სად იყვნენ მაშინ, როცა საქართველოს მასწავლებლობა მტკიცედ დარაზმული ერთ მთლიან კავშირში იბრძოდა მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ? მაშინ ისინი მენშევიკებს უმაგრებდნენ ზურგს და სარგებლობდენ მათი მფარველობით. ეს ის პირებია, რუსეთში რომ ვერ აიტანეს ბოლშევიკური „ჯოჯოხეთი“ და აქ ჰპოვეს მენშევიკური „სამოთხე“. როდესაც წითელმა არმიამ გაანადგურა რუსეთში კონტრ-რევოლიუცია, როდესაც მოისპო მათი უკანასკნელი ნუგეში დენიკინი და ვრანგელი, ამ ვაჟბატონებმა სტუმართ-მოყვარე საქართველოში ჰპოვეს თავშესაფარი და ზიზღით, წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ ბოლშევიკურ „ბანდებს“, წითელ არმიას და მის სულის ჩამდგმელებს. ეხლა კი, როცა ეს წითელი არმია საქართველოშიაც შემოვიდა, აქ მოკალათებულ დენიკინელებს, რა კი გასაქცევი და თავშესაფარი ადგილი აღარ მოეპოვებათ, ისევ წითელი ნიღბის აფარებით უნდათ თავის ტყავი გადაარჩინონ. მაგრამ ეს „თებერვლის კომუნისტები“ ვერავის მოატყუებენ. ჩვენ ვიცნობთ მათ შავ წარსულსა და ბოროტ განზრახვებს. ეს ის ვაჟბატონებია, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ საქართველოში ქართველი მშრომელი ხალხის ბატონობა და სძულთ ყოველივე ქართული, სკოლაცა და კულტურაც. მათ ჰგონიათ წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველო და გააბატონებს აქ გუშინდელ დენიკინელებს, თუ კი მათ წითელ ნიღბით ეჩვენებიან მაგრამ ამაოა მათი იმედი…

საქართველოს მასწავლებლობამ დიდი ხანია შექმნა ერთი მთლიანი კავშირი და მისი საბჭო მუშაობას განაგრძობს თავის ადგილას არის აგრეთვე ქ. თბილისის ყველა მასწავლებელთა კავშირის წევრები გაჰყვებიან მხოლოდ მათ მიერ არჩეულ ორ-განოს და ნებას არავის მისცემენ დეზორგანიზაცია შეიტანოს მასწავლებელთა მთლიან ოჯახში.

ჩვენიანი.

ახალი ამბები

მბეჭდავთა კავშირში. ახალ გამგეობის პრეზიდიუმში არჩეულია: ა. იაშვილი თავმჯდომარე) ს. კილაძე (თავმჯდომარის ამხ.) ტ. ხარაზიანი (მდივანი)

გამგეობამ დაადგინა იშუამდგომლოს მუშების დაკმაყოფილების შესახებ, რომელთაც გადატრიალების გამო სამუშაო ქირა არ მიუღიათ.

კავშირის გამგეობამ დაადგინა აცნობოს თავის ამხანაგებს შემდეგი:

1) ყველა მუშები, რომელნიც მსახურობდენ წარმოებებში წინად, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ თავიანთ ადგილებზე განსაზღვრულ საათებში და აასრულონ თავიანთი მოვალეობანი 2) კოლლექტიური ხელშეკრულება და მთელი რიგი დადებების დროებით ძალაში რჩება. 3) კავშირის სალაროში ამ ჟამად თავისუფალი თანხა არ არის, ვინაიდან ხაზინადარს და პრეზიდიუმს არავითარი თანხა არ დაუტოვებიათ და არცა გვაქვს საბუთები, რომლის საშვალებითაც შეგვეძლოს თანხის შეკრება, ვთხოვთ ამხანაგებს, რომელთაც არ შემოუტანიათ საწევრო გადასახადი, შემოიტანონ, რითაც საშვალება გვექნება ავასრულოთ ჩვენი დანიშნულება, 4) ყველა მუშები ვალდებულნი არიან დაიცვან რევოლიუციონური წესრიგი დისციპლინა და აგრეთვე მოუარონ ქონებას, რომელიც არის წარმოებებში. 5) წარმოებებში მომხდარ განხეთქილებისა და გაუგებრობის შესახებ უნდა ეცნობოს ხოლმე კავშირს ჩვეულებრივ წესით.

— **საქ. სოც.-ფედერალისტთა სარ. პარტიის კომიტეტმა დაადგინა:** ვინაიდან სარეკომენდაციო ბარათების მისაღებად დიდ-ძალი ხალხი მოაწყდა პარტიას, რაც ხელს უშლის მიმდინარე მუშაობას, ამიტომ აღიძრას სათანადო შუამდგომლობა რევკომის წინაშე, რათა ამიერიდან ახალი ბარათები მიიღოს სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის გამგეობისაგან.

— **მილიციაში.** მილიციის ორგანიზაცია თან და თან ეწყობა. ნაცვლად საჩქაროდ მოწყობილ დაცვისა სოც.-ფედ. პარტიის სარეკომენდაციო ბარათებით უკვე ჩარიცხულია მილიციის სხვა და სხვა თანამდებობაზე ას კაცამდე.

— **სასამართლოში.** მოხდა საერთო სხდომა. რომელსაც დაესწრო თითქმის ყველა მოსამსახურე. კრება მოწვეული იყო რამოდენიმე რუს მოხელეების თაოსნობით. მოხსენების გაკეთება გუდოვიჩმა ძლიერმა [illegible] პროტესტი განაცხადა მის დაუკითხავად კრების მოწვევის გამო. სასამართლოს კომისარმა კარტოზიამ სიტყვა წარმოსთქვა რუსულ ენაზე, რამაც დიდი პროტესტი გამოიწვია. მოხდა პროფესიონალურ კავშირის დრ. წარმომადგენლების არჩევნები. არჩეულ იქნენ: როინაშვილი, დამადაშვილი, ტყემალაძე, კანდელაკი, პოლუმორდვინოვი, მასხულიძე, მღვდლიშვილი, დიღია.

— **ფოსტა-ტელეგრაფში.** შესდგა ახალი გამგეობა კრებას დაესწრო რევკომის წევრი ლადო დუმბაძე. გამგეობაში შედიან სოც.-ფედერალისტები და კომუნისტები.

— **სასკოლო საქმეები.** საშუალო და დაბალ სკოლების საქმეთა სახელმძღვანელოდ შესდგა კომისია რევკომის წევრის შ. ოკუჯავას თავმჯდომარეობით. უნივერსიტეტი ჯერ ჯერობით რჩება ავტონომიურ დაწესებულება და მას არავითარი ზედამხედველი არ ინიშნება.

— **პოლიტეხნიკუმში.** პოლიტეხნიკუმში შესდგა სასწავლებელთა დაცვის ბიურო, რომლის ფუნქციები არავინ იცის. ბიუროს ხელმძღვანელობს არშაკ ბაბოვი, რომელმაც თურმე რამდენიმე ალაგას იარაღის საწყობები აღმოაჩინა დანიშნულ იქნა პოლიტეხნიკუმის რწმუნებულად.

— **საპყრობილეთა უწყებაში.** საპყრობილეთა ინსპექტორად დაინიშნა ლექვეიშვილი. მეორე საპყრობილის უფროსად—მადალაშვილი, სამხედრო საპყრობილის უფროსად—ასათიანი.

— **ძარცვა-გლეჯა.** რედაქციაში ცნობა მოვიდა, რომ კახეთის მხარეზედ, წითელ არმიელების გამოსვლის შემდეგ ძარცვა-გლეჯა დაუწყიათ ადგილობრივ ბნელ ელემენტებს. საჭიროა ეხლავე იქნეს მიღებული სასწრაფო ზომები, ვისგანაც ჯერ არის.

— **მილიციაში.** ქალაქის მილიციის უფროსი ნ. ჩხეიძე შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას, მილიციის უფროსის მოადგილეთ დანიშნულია ამხ. ტრაპაიძე. მე-2 რაიონის უფროსად დანიშნულია ამხ. დ. ჭიჭაძე.

გრუკავროსტას ბიულეტენი № 5,

— **ელექტრონის სადგურის დაცვა.** თფილისის რევკომმა დაავალა ამხ. კალაძეს შეადგინოს სამოქალაქო რაზმი ელექტრონის სადგურების, წყალსადენის, რკინის გზის მთავარ სახელოსნოების და მათი საწყობების დასაცავათ.

— **ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანაში.** ქარხანაში პაპიროსების დამზადება ნორმალურად სწარმოებს. ქარხნის პატრონები თავიანთ ადგილზე არიან. ყველა მუშაობს და წესრიგს განაგებს მუშათა საბჭო. ნედლი მასალა ქარხანაში საკმარისია.

— **ტრამვაი.** ქალაქში მოძრაობს 25 მოტორიანი და სამი მისაბმი ვაგონი ბილეთის ფასი წინანდელია.

— **სახელმწიფო ღვინით ვაჭრობა.** ქუთაისში წასულ სახელმწიფო სარდაფების გამგის მაგიერ დანიშნულია სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ამხ. ეგოროვი.

— **გზათა მიმოსვლის საოლქო სამმართველოში:** გზათა მიმოსვლის საოლქო სამმართველოს უფროსის თანამდებობის ამსრულებლათ რესპუბლიკის რევკომის მიერ დანიშნულია ინჟინერი გ. ჩხეიძე.

— **განათლების კომისარიატში.** განათლების კომისარიატის დროებით გამგეობაში დანიშნულია კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მიხა ოკუჯავა ალექსანდრე წერეთელი და ნიკო მგელაძე.

— **სენატი** განზრახულია სენატი გადააკეთონ უმაღლეს სასამართლოთ.

— **ექიმების რეგისტრაცია.** 5 მარტისთვის დანიშნული ექიმთა რეგისტრაცია დროებით გადადებულია.

— **სურსათ სანოვაგის პროფკავშირისაგან.** 3 და 4 მარტს მოხდება ყველა ღვინის სარდაფების, კონიაკის, არაყის და ლუდის ქარხნის მომუშავეთა რეგისტრაცია. რეგისტრაცია გამოწვეულია მაგარი სასმელებით ვაჭრობის აკრძალვით. ის ამხანაგები, ვინც რეგისტრაციაში უნდა შეტანილი იქმნენ, უნდა გამოცხადდენ მუშათა სასახლეში. (მეორე სართ. ოთახი №№ 11, 12, 13.)

— **სოციალური დახმარება.** ქალაქის სოციალურ დახმარების განყოფილების გამგედ დაინიშნა ნ. ს. ათაბეგოვ-ტუმასა. ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის მოსამსახურეთა მთელი შემადგენლობა, გარდა თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავასა, ამხ. მ. რუსიასი, განყოფილებათა გამგების: ჯაფარიძისა და არლიშვილისა, ყველანი თავიანთ ადგილებზე დარჩნენ. ქალაქთა კავშირის საქმეთა კომისრად რეორგანიზაციამდე დაინიშნა ექ. ი. სოჭილავა; კომერციულ და სატყეო განყოფილებათა გამგეთ—ნ. ი. ლილიევი.

წყალსადენი.

ავჭალის წყალსადენი წყალს შეუწყვეტლივ იძლევა. მაგრამ რაიონებად. მაზუთის მიღებისათანავე ეს უხერხულობა აცილებულ იქნება და წყალი დღე და ღამე შეუწყვეტლივ იდენს. ავჭალის სადგურის შეშით გათბობა შეჩერებულია წყალსადენის ყველა მოსამსახურეები თავიანთ ადგილზე არიან.

ქალაქის გადასახადი

ყველა გადასახადები, წყლის, ელექტრონის, ბაჟი სხვა და სხვა წინანდელია.

ბაქოს მუშათა საჩუქარი.

ტფილისის სადგურზე, მიღებულია და იცლება 6 ვაგონი ფქვილი 2 ვაგონი მაზუთი, რომელიც ბაქოს მუშებმა საჩუქრათ გამოუგზავნეს ტფილისის მუშებს.

პ უ რ ი.

სახალხო სასურსათო კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს 3 გაადიდოს ქალაქში პურის გამოცხობა.

სასურს. კომისარიატმა წინადადება მისცა მუშათა მაგიდამ გაადიდოს პურის ულუფა ½ გირვანქამდე სულზე და დაარიგოს არა მჭადი, არამედ პური. როგორც იუწყებიან, სასურსათო განყოფილებაში ულუფის ამ წესით დარიგება დაიწყება მარტის 8-დან.

სახლის კომიტეტების დაარსება.

რაიონებში სანოვაგის დარიგებისათვის სახალხო სასურს. კომისარიატი შეუდგა სახლის კომიტეტების მოწყობას.

პური და მაზუთი საბჭოთა რესპუბლიკიდან.

სახ. ს. ს. კომისარიატში მიღებულ ცნობებით, საბჭოთა რესპუბლიკებიდან საქართველოს ეგზავნება 1) 70 ვაგონი ხორბალი, რომლიდანაც 40 ვაგონი ევლახს გამოშორდა; 30 კი აჯიქაბულის, ამას გარდა ადგილობრივ დატვირთულია 80000 ფუთი. 2) 279 ცისტერნა მაზუთი რომლიდანაც 89 უკვე აღსტაფას გამოშორდა, 9-განჯას, 61-ევლახს და 100-ბალაჯარას,

ქართველ ხელოვანთა კრება.

ხუთშაბათს ხელოვანთა სასახლეში (ხოშტარიას სახლში სერგიევის ქუჩა № 13) გაიმართება ყველა ქართველი ხელოვანთა კრება (პოეტები ლიტერატორები მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები) კრებას დაესწრება „რევკომის“ წევრი დასწრება სავალდებულოა დასაწყისი დღის 12 საათზე.

გრუკავროსტას ბიულეტენი. № 6.

ქალაქის მილიციის დაქვემდებარება.

გორრევკომის დადგენილებით ქალაქის მილიციის სამეურნეო ნაწილი ემორჩილება ქალაქის გამგეობის საადმინისტრაციო ნაწილს ხოლო ქალაქის დაცვის საქმეებში გორრევკომს.

ქალაქის გამგეობა.

თანახმად ქალაქის რევკომის დადგენილებისა, ქალაქის გამგეობა განაგრძობს მოქმედებას ჩვეულებრივ წესით და იქნება მოთავსებული ძველ შენობაში. ჯერ გაურკვეველია ქალაქის გამგეობის შემდეგი შემადგენლობა: 1. სასწავლო განყოფილების გამგე ამხ. კონიაშვილი. ის განაგებს განსაკუთრებით პედაგოგიურ ნაწილს; ქალაქის სასწავლებელთა სამეურნეო და საკანცელარიო ნაწილის გამგეობისათვის მას ეძლევა ნება მოიწვიოს ამხ.; 2. საფინანსო განყოფილების გამგედ—ამხ. შოთაძე. 3. საექიმო სასანიტარო განყოფილების გამგედ ექიმი კიკალეიშვილი; 4. წარმოებათა განყოფილების გამგედ ამხ. ბაქრაძე, საადმინისტრაციო განყოფილების გამგედ ამხ. მაჭავარიანი; 6. გამგეობის მდივანი ამხ. პ. შენგელაია; 7. სააღმშენებლო განყოფილების გამგედ დანიშნულია ამხ. მამრაძე.

მარტის 3-ს, დილის 11 საათზე დანიშნულია ქალაქის გამგეობის სხდომა.

სახელმწიფო თეატრში.

სახელმწიფო თეატრების დროებითმა კომისარმა ზარდალიშვილმა გრუკავროსტას თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საოპერო თეატრის სალაროს საქმე ცუდათაა. კომისარმა რევკომს სთხოვა ავანსად 12 მილიონი მან., რაც დაახლოვებით შეადგენს ორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე სახელმწიფო თეატრის მსახიობთა ერთი თვის ჯამაგირს.

ქალაქის რევკომი.

ტფილისის ქალაქის რევკომი საბოლოოდ გადავიდა იმ შენობაში, სადაც წინად სამინისტროები იყო მოთავსებული. (ყოფ. კადეტთა კორპუსი).

სურსათი. მარტის 1-ს ტფილისში მოვიდა 7 ვაგონი თეთრი ფქვილი რკინის გზის მოსამსახურეთათვის. მარტის 2-ს მოვიდა 40 ვაგონი სხვა და სხვა სურსათი. უკანასკნელ 4 დღის განმავლობაში მოვიდა 60 ცისტერნა ნავთი მარტის 2-ს ტფილისიდან ბაქოში გაიგზავნა ნავთისთვის 64 ცისტერნა.

ულუფის მიღების წესი. მუშათა მაგიდა აუწყებს ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელნიც მუშათა მაგიდაში არდგენენ მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის სიებს ულუფის მისაღებად, რომ ეს სიები უნდა სდგებოდეს ორ ცალად, რომლითაგან მეორე მას შემდეგ რაც შემოწმებული იქნება, უკანვე დაუბრუნდებათ. სიები შემოწმებულ უნდა იქნენ დაწესებულების მიერ, ხელმოწერილი დაწესებულების ორი პასუხის მგებელ პირის მიერ და ბეჭედ დასმული. სიებში შეიტანებიან, როგორც მუშა მოსამსახურენი, ისე მათი ოჯახის წევრნი. თუ უკანასკნელნი ისინი ინახავენ. ოჯახის შემადგენლობაში შედიან: 1) მეუღლე, რა ხნოვანებისაც არ უნდა იყოს, თუ კი ის სამსახურში არ იმყოფება, 2) შვილები 16 წლამდე, თუ სწავლობენ და სამსახურში არ იმყოფებიან. 3) დედა, მამა, პაპა და ბებია, თუ შრომის უნარს მოკლებულნი არიან, წლოვანებით 50 წელზე უფროსნი და არ მსახურობენ და 6) შრომის უნარს მოკლებულნი, განუკურნავი, ავადმყოფი (დამბლა და სხვა.) ნათესავები სიებში ხუჯირით უნდა აღინიშნოს, მხოლოდ ოჯახის უფროსები, ოჯახის წევრნი კი შეიტანებიან იქვე ოჯახის უფროსების შემდეგ. ოჯახის უფროსთან მათი ნათესაობრივი დამოკიდებულება, სახელი, მამის სახელი და ხნოვანობა. სიაში უნდა იყოს გრაფა, თითო ოჯახში ჭამელთა რიცხვის აღნიშვნით. მეხუთე და მეექვსე შემთხვევაში და ყველა გაუთვალისწინებელ შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს სახლის კომიტეტების ან სხვა რაიმე ოფიციალურ დაწესებულებათა მოწმობები, ხოლო მე-6 შემთხვევაში ამის გარდა წარმოდგენილ უნდა იქნეს ექიმის მოწმობაც. ყალბი ცნობების წარმომდგენს სრულიად წაერთმევა მთელი ოჯახისათვის ულუფის მიღების უფლება, ხოლო ყალბი ცნობის მომწოდებელი პასუხის გებაში მიეცემა. პასუხს აგებს აგრეთვე აშკარად ყალბი ცნობების ხელის მოწერით შემმოწმებელი.

საბჭოთა რუსეთში

(რადიო)

სათბობი მასალის ფრონტი.

მოსკოვი. მარტის 2. მურომში (ვლადიმირის გუბ.) ფაბრიკებსა და ქარხნებში, რომ მუშაობა არ შეჩერებულიყო ისპოლკომმა დაადგინა სათბობი მასალის დამუშავებაზე მომუშავეთ მისცენ 3 ათასი ადლი მანუფაქტურა.

მშვენივრად მუშაობენ.

მოსკოვი. მარტის 2. მურმანის რკინის გზის მიმართულებით იანვარში მოზიდეს 18,000 ფუთი შეშა, ე. ი. 150 პროცენტი იმისა, რაც განზრახული იყო მოეზიდათ.

მრეწველობა ძლიერდება.

მოსკოვი. მარტის 2. ბუნკოვის საქსოვ ქარხანაში ნოემბერში დაამზადეს 900 ნაჭერი, დეკემბერში 1000 და იანვარში 900 ნაჭერი მანუფაქტურა. მრეწველობა 200 პროცენტით არის გაძლიერებული.

პავლოვსკის ქარხანაში.

მოსკოვი. მარტის 2. პერმის გუბერნიაში პავლოვსკის ქარხანა, სადაც მზადდება ცელები, კარგად მუშაობს. 1920 წ. დეკემბერში დაამზადეს 160 ცელი.

შრომის გმირი.

მოსკოვი. მარტის 2. ვლადიმირის გუბერნიაში ზოლოტკოვის ბროლეულობის ქარხანაში მუშებმა თავის ზურგით მოიტანეს 500 ფუთი შეშა და ქარხანა აამუშავეს.

მჭედლების და ზეინკლების მობილიზაცია.

მოსკოვი. მარტის 2. პუგაჩევის უკომპარტმა მჭედლებისა და ზეინკლების მობილიზაცია გამოაცხადა სასოფლო სამეურნეო ინვენტარის შესაკეთებლად.

პეტერბურგი ემზადება.

მოსკოვი. მარტის 2. პეტერბურგის შრომისა და თავდაცვის საბჭომ გამოაცხადა არავის არა აქვს უფლება მუშებს ჩამოართვას მიწა, რომელიც იმათ შარშან დაამუშავეს. საბოსტნე ადგილების გადაცემა აკრძალულია.

შიმშილობასთან ბრძოლა.

მოსკოვი. მარტის 2. სოფელ ნიკოლსკის (სარატოვის გუბ.) დაადგინეს ჩამოართვან იმათ ხორბალი, რომელიც მალავს დათესვის ფონდის სასარგებლოდ. ვინც არ გამოაჩენს იმათ მთელი ქონება ჩამოერთმევა და სოფლიდან გაძევებულ იქნება. აღმოაჩინეს 54 ორმო და ნახეს 1200 ფუთი პურის ფქვილი.

თივის დამზადება.

მოსკოვი. 2.2. სმოლენსკის გუბერნიის 11 მაზრაში თივის 91 პროც. მოაგროვეს, წონით მილიონ ფუთზე მეტი

მრეწველობა იწყება.

მოსკოვი. 2-3. ბოგოროდში კარმიცის პირველ ქარხანაში თვეში დაამუშავეს 849 ფუთი ფაბრიკატი, იანვარში 3398 ადლი მანუფაქტურა მეტი დაამუშავეს 291 პროც.

ზედმეტად მუშაობენ.

მოსკოვი. მარტის 2. ეკატერინბურგის გუბერნიაში წისქვილებმა 1920 წ. დაფქვეს 10 მილიონი ფუთი ხორბალი მეტი, ვიდრე განზრახული იყო.

დროა.

სარატოვი. თებერვლის 28. თათრის სოფელში 54 მაჰმადიანმა გაათავა წერა-კითხვის სკოლა. იმათ იციან უკვე რუსული წერა-კითხვა.

პარტიაში.

ყაზანი. თებერვლის 28 გაიხსნა რუსეთის კ. პარტიის საოლქო ყრილობა. დაესწრო 200 დელეგატი. აირჩიეს პრეზიდიუმში ამხ. საიდ-გალიევი, საფაროვი, სლუცკი და სხვები.

პროლეტართა სოლიდარობა.

მოსკოვი. 28 თებერვალს. სახელმწიფო თუთუნის ქარხნის მუშებმა, რიცხვით 560 კაცმა, იმუშავეს კვირას და დამუშავებული თუთუნი დონბასისა და ურალის მუშებს გაუგზავნეს.

უმაღლეს სასწავლებელში

მოსკოვი. 28 თებერვალს. წელს მოსკოვის უნივერსიტეტს დიდძალი ხალხი მოაწყდა მეცადინეობის დროს გერცენის ქუჩა ხალხით გაივსო. ყველას წიგნები და რვეულები უკავიათ ხელში. კომუნის-პროფესორების უნივერსიტეტის და აუდიტორია, მაგალითად ბუხარინისა, ხალხით სავსეა. ბუხარინი ნაცვლად ერთი საათისა ლექციებს ორ საათს კითხულობს. სტუდენტების კომიაჩეიკები ძალიან მრავლდება. ამ წლის დასაწყისში კომიაჩეიკებში ითვლებოდა 1500 კაცი, ახლა გაცილებით მეტია. კომიაჩეიკების მიტინგები დახურულ დარბაზებში ვერ ეტევა.

სასოფლო სამეურნეო ინვენტარის შეკეთება.

მოსკოვი. თებერვლის 28. მოსკოვის სამაზრო საბჭოს ისპოლკომმა წინადადება მისცა ვოლოსტებს მოელაპარაკონ ხელოსნების დაზიანებულ ინვენტარის შეკეთების შესახებ. თანახმად ვოლპოკავსოების გეგმისა.

თავადი საპეგა ბუქარესტში.

პარიზი. მარტის 1 პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი თავადი საპეგა ბუქარესტს წავიდა გენერალ პაშესკის თანხლებით.

გერმანიის რეაქციის ცენტრი უნივერსიტეტებშია.

ნაუენი. მარტის 1 (დასაწყისი მიღებული არაა). კვაკერები აძლევენ სურსათს 17 ათას სტუდენტს. დახმარებას აძლევენ გაჭირვებულ მეცხოვრებლებს და არა მონარქისტ-იუნკრებს, რისთვისაც ამ მოძრაობას დემოკრატიული ხასიათი აქვს. კვაკერები თუმცა არაფერს ქადაგობენ, მაგრამ მათ დახმარებას სთვლიან მილიტარიზმისათვის ხელის შეწყობად. გერმანიაში რეაქციის ცენტრი უნივერსიტეტებში აღმოჩნდა. დიდი დრო იქნება საჭირო ძველი სულის დარღვევისათვის (შემდეგ დამახინჯებულია).

კრასინის განცხადება ბერლინში.

— **ნაუენი** მარტის 1 რუსეთის წარმომადგენელმა ინგლისის მთავრობასთან, რომელმაც გაატარა ერთი კვირა ბერლინში, გააკეთა ორი საგულისხმო ერთი განცხადება: „რუსეთს სთქვა მან, მოსპობილდა ომი და ის არ დაიწყებს მას, თუ არა მაშალადატანებით." ხანგრძლივ ლაპარაკის შემდეგ, შეეხო რა ამერიკას, კრასინმა განაცხადა, „საბჭოთა მთავარობა არ მისცემს არავითარ ავანსს გარდიგის მთავრობას, ჩვენ დავინახავთ, როგორი მდგომარეობა შეიქმნება,

მოსკოვი.

(რადიო). ლიტვის ოფიციალური პრესა აუწყებს, რომ დასავლეთ სახელმწიფოებს უნდათ ლიტვაც ჩაითრიონ საერთაშორისო ინტრიგებში და გახადონ ბარიერად საბჭოთა რუსეთ-გერმანიის შორის, მაგრამ ლიტვა კარგად გრძნობს, რომ ამ სახელმწიფოთათვის საჭიროა ურთი-ერთობა: „საბჭოთა რუსეთთან უფრო ადვილი იქნება ცხოვრება, ვიდრე რუს ემიგრანტებთან", სწერს ერთი გაზეთი.

რაღაც უნდათ გააკეთონ.

მოსკოვი 2-3. (რადიო). რუმინელ გაზეთების ცნობით მარტის პირველ რიცხვებში რუმინეთში ჩამოვა მარშალი ფოში სამხედრო და პოლიტიკურ მისიებით.

უცხოეთში

(ცენტროპრესის ბიულეტენი № 5)

ლონდონის კონფერენცია.

ლიონი, მარტის 2 რადიო (დასაწყისი არ მიგვიღია) გერმანიას მოუწევს გადახდა 30 წელში 30 მილიარდისა დოქტორ სიმონსის მოხსენებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ნაუენ. მარტის 2 (რადიო) გერმანელ დელეგატებს ლონდონში მისვლისას მისალმა ელჩი სტამერი და გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი. სიმონსმა საზოგადოების ყურადღება მიიქცია. გერმანიის დელეგატებს მიმოსვლის თავისუფლება მისცეს, რასაც ისინი პარიზსა და სპაში მოკლებულნი იყვნენ. ინგლისური პრესა სკეპტიკურად არის განწყობილი. მოუთმენლად მოელიან გერმანელთა კონტრ წინადადებას, ინგლისის გაზეთები ეკონომიურ მხარეს აქცევენ ყურადღებას, საფრანგეთის კი პოლიტიკურს.

პასევკამპანია ნიჟეგოროდის გუბერნიაში.

მოსკოვი. მარტის 2 (რადიო) ლისკოვის მაზრაში სავალდებულოა, 16 800 დესეტინა მიწის დათესვა ,ხლება თესლეულობის გადარჩევა სახელმწიფო ფონდისათვის.

ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრებიდან

ორშაბათს მარტის 28 ფოსტის კანტორის დარბაზში მოხდა გადატრიალების შემდეგ პირველი კრება ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მოსამსახურეთა; შეიძლება ითქვას რომ კრებას არ დაკლებია არც ერთი მოსამსახურე. ამ მრავალრიცხოვან კრებას თავიდანვე ნერვიულობა ეტყობოდა და ყოველ სიტყვას გულის-ფანცქალით ისმენდა. ამ კრებამვე აშკარად ნათელჰყო, თუ როგორ ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ყოველ მოსამსახურეს ეროვნული თავმოყვარეობა, საქართველოს თავისუფლებისადმი უსაზღვრო სიყვარული, მისთვის თავგანწირვა. აქვე აშკარა გახდა ყველასათვის, რომ საქართველოს მშრომელი კლასის შეგნებაში ერთი არ არის მენშევიზმი და საქართველოს თავისუფლება... კრებას თავმჯდომარეობდა რევკომის წევრი ლადო დუმბაძე, რომელმაც მოხსენება გააკეთა თანამედროვე მომენტზე. თავის სიტყვაში მან აღნიშნა, რომ აქაური პრესა და მთავრობის ოფიციოზები „ერთობა-ბორბა" და სხვა, კომუნისტებს და წითელ ჯარს სახავდენ როგორც ურდოებს, მძარცველებს, და მხეცებს. მაგრამ თქვენ უკვე დარწმუნდით, რამდენათ ცალმხრივი იყო მათი ინფორმაცია. ჩვენ მოვედით აქ მიტომ, რომ კიდევ უფრო ავაყვავოთ ქართული კულტურა და ვიხსნათ ბურჟუაზიის ბრჭყალებიდან თავისუფალი საქართველოს მუშები და გლეხობა. ილაპარაკა აგრეთვე ჯარისკაცმა ნიკოლაიშვილმა, როგორც კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა; მან შეეხო კომუნიზმის და საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების აუცილებლობას მან სთქვა, რომ ჩვენს პარტიას პირველ ხანებში ჰყავდა 240-დე წევრი, მაგრამ დღეს 1 მილიონზე მეტი ჰყავსო და მოუწოდა დამსწრეთ ჩაუკვირდებოდნენ ამ გარემოებას და დაახლოვებოდნენ კომუნისტურ იდეოლოგიას. ამის შემდეგ მგრძნობიარე სიტყვით მიმართა დამსწრეთ ამხ. ტუღუშმა. მან მოუწოდა კრებას, გამოეჩინა არაჩვეულებრივი სადინჯე, წინდახედულობა და ყოველი ნაბიჯი გადაედგა ეროვნულ და სოციალურ ინტერესებთან შეფარდებით. არა ერთი და ორი მტერი შემოსევია საქართველოს. მისი ყოველი გოჯა მიწა მორწყულია მშრომელი ხალხის სისხლით და ოფლით; მას უნახავს ადამახმიდ ხანის ბატონობა, მაგრამ ქართველ მშრომელ ხალხს მაინც მოუხერხებია თავისუფლების მოპოვება. ეროვნული კულტურა, მეცნიერება თავისუფლება, დამოუკიდებლობა, უზრუნველყოფილი უნდა იყვეს ყველასაგან. ფრონტზე მე მქონდა ლაპარაკი ჯარისკაცებთან, და ისინი თითქმის ყველანი ამბობდა, რომ მათთვის მეორე ხარისხოვანია, როგორც მენშევიზმი, აგრეთვე ბოლშევიზმი. ისინი თავისი შეგნებით იცავდნენ საქართველოს თავისუფლებას, მის კულტურას, მის მიწა-წყალს და აი ამ საქართველოს მუშების და გლეხების უწმინდეს გრძნობას უნდა გაუწიოს ანგარიში რევკომმა. თორემ პირველ ყუმბარებს თვით ის მშრომელი დემოკრატია აიღებს თქვენს წინააღმდეგ, რომელსაც უნდა ემყარებოდეს მუშების და გლეხების მთავრობა.

და თუ ეს ხალხის წმინდა მოთხოვნილება არ შეილახება, სოციალურ კითხვებში ჩვენს შორის ბევრი რამ არის, საერთო სოციალიზაცია მიწის,—ბრძოლა სპეკულიაციასთან, სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ წარმოების ხელში აღებას ჩვენ ვემსახურებოდით, მისთვის ვიბრძოდით და კიდევაც შეგვიძლია მთელი ენერგიით ეხლაც ვიმუშაოთ ამ მშრომელი ხალხის საკეთილდღეო საქმის ხორციშესხმისათვის. სანამ ჩვენ საქმით ვერ დავინახავთ თქვენს მოქმედებას, მანამ თავს შევიკავებთ და თქვენც არ უნდა მოითხოვოთ, ჩვენი თქვენდამი დამოკიდებულების რეზოლიუციაში გამოთქმა. ჩვენ ძველი მოსამსახურენი რასაკვირველია ვრჩებით ჩვენს ადგილებზე და გაათკეცებული ენერგიით შევეცდებით ვემსახუროთ [illegible] მშრომელი ხალხის კეთილდღეობას.

ამხ. [illegible] ნახეთქი იყო. მთელი დამსწრე მოსამსახურეთა და თანხმობის ნიშნად ხშირად ტაშით აწყვეტინებდნენ სიტყვას. შემდეგ ილაპარაკეს კიდევ რამოდენიმე და თავისი აზრები გამოსთქვეს. მიესალმა დამსწრეთ აგრეთვე წითელ ჯარის გამარჯვების, მენშევიკური მთავრობის და ჟანდარმერიის უღლიდან განთავისუფლების გამო მოხელე კ—ნი. (ზეგრამა შესძახა გუშინ მენშევიკი იყავიო) ასეთივე სიტყვით გამოვიდა მოხ. ქადაგიშვილი, რომელმაც აღუთქვა კომუნისტურ პარტიას ყოველგვარი. დახმარება.

დასასრულ ილაპარაკა კომუნისტურმა პარტიის წარმომადგენელმა უუთაგრესად ამხ. ტუღუშის საპასუხოდ, და აღუთქვა ხალხს ერის თავისუფლების დაცვა და მუშურ-გლეხური მმართველობის დამყარებით მშრომელი ხალხის მძიმე ტვირთის შემსუბუქება. ის დიდხანს შეჩერდა ფედერალიზმზე და სთქვა, რომ საბჭოთა ფედერატიულ რუსეთში, არამც თუ ილახება ეროვნული სახე, პირიქით დაარსდა მრავალი რესპუბლიკები, რომლების ხსენებაც არ იყოო.

დასასრულ კრებამ აირჩია დროებითი კომიტეტი 11 კაცისაგან.

„ივნახთო" სთქვა დამსწრე საზოგადოებამ და დაიშალა.

დამსწრე.

ფარმაცევტთა კავშირში

ორშაბათს, მარტის 2-ს მოხდა ტფილისის აფთიაქებში მომუშავეთა პროფ. კავშირის საზოგადო კრება რომელსაც დაესწრო მრავალი არა წევრიც (იყვნენ ბაქოდან, ერევნიდან, და სხვა ქალაქებიდან) კრების მოწვევა საინიციატივო ჯგუფმა მომხსენებლად მომენტის შესახებ გამოუშვა ფარმაცევტი გალაქტიონ ნოდიაშვილი რომელშიაც თავის მოხსენების დასასრულს წინადადება გაუკეთა კრებას აირჩია ახალი გამგეობა და წარმოადგინა თავისი სია, რომლის შემადგენლობა შეიცავდა 11 წევრიდან, 8 კომუნისტს, 2 სოც. ფედერალისტს და ერთს სინდიკალისტს. სოც.-ფედერალისტთა ფრაქციამ, ასეთი პრაპორციაც იცნო მიზნად პროფეს. კავშირის საქმიანობისათვის საზიანოდ, ვინაიდან გამგეობაში არ შედიოდა ძველი პროფესიონალური გამოცდილი მუშაკები და მოითხოვა ოთხი ადგილი მაინც მიეცათ მათთვის მაგრამ კომუნისტთა საინიციატივო ჯგუფმა უარყო სოც. ფედერალისტთა წინადადება და პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით ხელში აიღო გეგმონია... მიუხედავად საზ. კრების ნაწილის მოთხოვნილებისა კენჭისყრა ყოფილიყო ფარული, მათ ეს ინებეს და თავის შედგენილი სია კავშირის არა წევრთა უმრავლესობ.. დაამტკიცეს. ამის გამო სოც.-ფედერალისტთა ფრაქციამ შეიტანა გამგეობაში შემდეგი განცხადება: ვინაიდან კომუნისტები, მენშევიკურივით სარგებლობენ პოლიტიკური სიტუაციით და საინიციატივო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროპორცია არ შეესაბამება, ჩვენს გავლენას ფარმაცევტებში ჩვენ უარს ვამბობთ გამგეობაში მუშაობაზე და ვაგზავნით მხოლოდ ერთ წევრს ინფორმაციისათვის.

დამსწრე.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამოცემა ფრ. მთავარი კომიტეტისა.

სტამბა „სახალხო საქმე" კალოუბნის ქუჩა № 14.